



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

14 ნოემბერი 2024



N 647/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### ქ. რუსთავში სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. რუსთავში 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. რუსთავში. ელექტროენერჯის მზარდი მოხმარების ფონზე, ენერგომომარაგების შეზღუდვის ან შეწყვეტის გარეშე, რთულდება არსებული „მთავარი არხის“ ქვესადგურის მკვებავი 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზების – „არხი 1“-ის და „არხი 2“-ის გეგმური სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, მცირდება ენერგომომარაგების საიმედოობა და იზღუდება ქვესადგურ „მთავარ არხთან“ ახალი მომხმარებლების დაერთების პერსპექტივა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვესადგური „მთავარი არხისთვის“ სრულფასოვანი რეზერვის შექმნისა და ენერგომომარაგების საიმედოობის გაზრდის მიზნით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, გათვალისწინებულია 110 კვ ძაბვის ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, რომელიც არსებულ ელექტროგადამცემ ხაზებს – „ატზ-5“-ს და „ატზ-6“-ს დააკავშირებს ქვესადგურ „მთავარ არხთან“. საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X-504211.71, Y-4598468.51; X-504485, Y-4597004. საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფ. თაზაქენდი, დაშორებულია დაახლოებით 1,5 კმ-ით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ეგზ მოიცავს 13 საანკერო-კუთხური ტიპის, ფოლადის საყრდენს და მისი სიგრძე შეადგენს დაახლოებით 2 კმ-ს. საპროექტო საყრდენები განთავსდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, ხოლო ეგზ-ის დერეფანი გადაკვეთს სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოს ტერიტორიას და შპს „საქართველოს მელიორაციის“ კაპიტალში რიცხულ გარდაბნის სარწყავი სისტემის მაგისტრალურ არხს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საპროექტო ეგზ-ის დერეფნის მიმდებარედ ფიქსირდება სს „სილქნეტის“, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ და სს „საქორგაზის“ საკომუნიკაციო ქსელები, ასევე, სს „რუსთავის აზოტის“ რკინიგზის ჩიხი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებთან და შესაბამისად, საპროექტო ეგზ-ის გაყვანის ეტაპზე სამშენებლო

ბანაკისა და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. საპროექტო ეგზ-ის გაყვანის სამუშაოები მოიცავს საძირკვლების მომზადებასა და ფუნდამენტების, საყრდენების, სადენების და მეხდამცავი გვარლის მონტაჟს, რაც გაგრძელდება დაახლოებით 5 თვის განმავლობაში.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო სამუშაოებში ჩართული მანქანა-დანადგარები. დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობისა და უახლოეს დასახლებულ პუნქტთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. ამასთან, ეგზ-ის მოწყობის ეტაპზე მუდმივად გაკონტროლდება სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობა, გადაადგილების სიჩქარეები, სამშენებლო მასალის გადმოტვირთვის სიმაღლეები და სამშენებლო სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ეგზ-ის მოწყობის ეტაპზე მოსალოდნელია არასახიფათო და მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომელთა შეგროვება მოხდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. არასახიფათო ნარჩენების გატანა უზრუნველყოფილი იქნება ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე საშიში გეოდინამიკური პროცესები არ შეინიშნება და დაგეგმილი საქმიანობა, საპროექტო ეგზ-ის მასშტაბისა გათვალისწინებით, არ იქნება დაკავშირებული საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ეგზ-ის მოწყობის ეტაპზე ნიადაგის და გრუნტის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, სამშენებლო მოედანზე დაწესდება შესაბამისი კონტროლი. დოკუმენტის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვა განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილების შესაბამისად. საყრდენების განთავსების ადგილებზე მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დროებით დასაწყობდება საყრდენების გვერდით და სამუშაოების დასრულების შემდგომ განთავსდება დამონტაჟებული საყრდენების განთავსების ტერიტორიაზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობები. საპროექტო დერეფანი ანთროპოგენურად სახეცვლილია და ეგზ-ს ბუფერში არ გვხვდება დაცვის რომელიმე სტატუსის მქონე ფლორისა და ფაუნის სახეობები. ამასთან, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ხე-მცენარეების მოჭრა გათვალისწინებული არ არის. დოკუმენტის თანახმად, საპროექტო ეგზ-ის პარამეტრების, ადგილმდებარეობის და სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის გათვალისწინებით,

დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საპროექტო ეგხ-ის ადგილმდებარეობის და პარამეტრების გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. რუსთავში სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და რუსთავის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო



